საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 1307-02
06/06/2023

"სსიპ "ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" საკუთრებაში არსებული ქონების - უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული 3 (სამი) ერთეული ავტომობილის ელექტრონული აუქციონით გაყიდვასთან დაკავშირებით, აუქციონის გამოცხადების, ვადებისა და პირობების დადგენის შესახებ" ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 5 ივნისის №1294-02 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

"უმაღლესი უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის "ზ" ქვეპუნქტის, 85-ე მუხლის პირველი პრიმა პუნქტის, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის "ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების მე-19 მუხლის 1-ლი პუნქტის და მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის და საფუძველზე და საქართველოს მთავრობის 2020 წლის 7 სექტემბრის N561 დადგენილების - „დაინტერესებული ფიზიკური და იურიდიული პირების ქონების განკარგვის ხელშეწყობისას საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ მომსახურების გაწევის წესის, მომსახურების სახეებისა და საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ" საფუძველზე,

ვბრძანებ

1. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 5 ივნისის N1294-02 ბრძანებაში შეტანილ იქნას შემდეგი სახის ცვლილებები:

   ა) ბრძანების მეორე პუნქტის „ჟ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   „ჟ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ გასაწევი მომსახურების საფასურის გადახდა განხორციელდეს საქართველოს მთავრობის 2023 წლის 7 სექტემბრის №561 დადგენილების N2 დანართის მიხედვით (თითოეულ ავტომობილზე - 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით, ჯამში - 150 (ას ორმოცდაათი) ლარი);".

   ბ) ბრძანების მეხუთე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   „5. აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურს დაევალოს გადაიხადოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ გასაწევი მომსახურების საფასური ამ ბრძანების მეორე პუნქტის „ჟ" ქვეპუნქტის მიხედვით.".

2. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანებით გათვალისწინებული ინფორმაციის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნება.
3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს უნივერსიტეტის მატერიალური რესურსების სამსახურის უფროსს, გიორგი მამუჩაშვილს.
4. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები რექტორს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, მატერიალური რესურსების სამსახურს, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახურს, აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, შესყიდვების სამსახურს, უნივერსიტეტის შიდა აუდიტს.

ქეთევან ლაკირბაია

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი